ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1692701

ნომერი: AR1278294

თარიღი : 12.01.2015

გაცემის თარიღი : 20.01.2015

გაცნობის თარიღი : 21.01.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდუბის ავტოსადგურსა და დიღმის მასივში შესასვლელ ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის თანახმად ითხოვთ მიწისქვეშა საწვავის მილსადენების ახლით შეცვლას (რაოდენობისა და სიგრძის უცვლელად). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ: ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-15 მუხლის თანახმად, გაზსადენი იყო სამ კატეგორიად – ა) I კატეგორია – მაგისტრალური (მაღალი წნევის) გაზ-სადენი; ბ) II კატეგორია – საშუალო წნევის გაზსადენი; გ) III კატეგორია – დაბალი წნევის გაზსადენი, ისინი კი შესაბამისი კლასიფიკაციის მიხედვით განეკუთვნება შენობა-ნაგებობის შესაბამის კლასს. იმავე დადგენილების მიხედვით შენობა–ნაგებობები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ვარგისად აღიარებისათვის იყოფა 5 კლასად, რომელთაგან თითოეული კლასი ხასიათდება განსაზღვრული მახასიათებლებით და მათგან მხოლოდ I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, კანონმდებლობის მათ შორის სამშენებლო საქმიანობის ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით. დანარჩენი კლასების შენობა-ნაგებობის მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ლანდშაფტური მშენებლობის, დემონტაჟის, ასევე დროებითი შენობა-ნაგებობის მონტაჟი/განთავსება საჭიროებს შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის და 2014 წლის 22 დეკემბრის #19–75 დადგენილების თანახმად, III კატეგორიის გაზსადენის მილის განთავსება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას ან/და წერილობით თანხმობას, თუმცა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებასა და ხაზობრივი ნაგებობების მონტაჟის, ასევე, საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე სხვა სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ თქვენს მიერ დაგეგმილია პირველი კლასის ხაზობრივი ნაგებობის (III კატეგორიის გაზსადენის მილი) მონტაჟი კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული სამუშაოები არ საჭიროებს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებას.

ხოლო, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ დაგეგმილია ისეთი ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც არ შეესაბამება პირველი კლასის მახასიათებლებს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აღნიშნული საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის მოპოვებას. შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მისაღებად განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ავტორიზაციის შემდეგ ელექტრონული განაცხადების მშენებლობის ნებართვის ჯგუფში უნდა აირჩიოთ საინჟინრო ნაგებობები და კომუნალური ობიექტები, შესაბამისი ქმედების მონიშვნით, რის შემდეგაც განგესაზღვრებათ ასატვირთი დოკუმენტაციის ნუსხა. ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.